

პრადიკციული სახელმძღვანელო
მცირე ბიზნესისთვის




მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები

როგორ შევაფასოთ უცხოურ ვალუტაში სესხებასთან
დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები

ეს ბროშურა გთავაზობთ რჩევებს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოთ. აღნიშნული ბროშურა გირჩევთ განიხილოთ სხვადასხვა შემოთავაზება და შესაძლებლობა; თუმცა, არ აიღოთ საკუთარ თავზე ზედმეტად მაღალი, ან თქვენთვის გაუგებარი რისკი.

ამ ბროშურაში იპოვით:

- მარტივად გასაგებ რჩევებს კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომლებიც შეგიძლიათ გადადგათ თქვენი ბიზნესის გასაძლიერებლად
- პრაქტიკულ მიდგომასა და სამ მარტივ მოდელს (ინსტრუმენტს), რომლებიც დაგეხმარებათ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში
- პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც განმარტავს როგორც ცალკეული ფინანსური ცნებების არსს, ისე ზემოაღნიშნული მოდელების გამოყენების წესებს
- მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და ინფორმაციას სექციაში „დაიმახსოვრეთ“ 😊 😞
- ბროშურის ველში მოცემულ მნიშვნელოვან წესებს
- იმ ფაქტორების საკონტროლო ჩამონათვალს, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ უცხოურ ვალუტაში სესხის აღებამდე



პასუხისმგებლობის უარყოფა

ინფორმაცია, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს, სათანადო გულმოდგინებით გადამოწმდა EFSE-ს განვითარების პროგრამის (EFSE DF) მიერ. თუმცა, EFSE-ს განვითარების პროგრამა პასუხს არ აგებს და არ წარმოადგენს გარანტიას მოცემული ინფორმაციის დროულობაზე, სიზუსტესა და სისრულეზე. EFSE-ს განვითარების პროგრამა უფლებას იტოვებს, ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეიტანოს ცვლილებები ან შესწორებები წარმოდგენილ ინფორმაციაში. EFSE-ს

განვითარების პროგრამა არ უზრუნველყოფს პირდაპირ ან ირიბ გარანტიას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე კონკრეტული მიზნით ან დანიშნულებით. აუცილებელი არ არის, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი განიხილავდეს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, ან მოიცავდეს განხილული საკითხების ყველა ასპექტს და ეს დოკუმენტი განახლებას არ ექვემდებარება. დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო, სამართლებრივ, საგადასახადო ან სხვა სახის რჩევას. იგი მომზადდა მკითხველთა კერძო ფინანსური ან სხვა გარემოებების გათვალისწინების გარეშე.



გამომცემლები
 გამოცემულია ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის (EFSE) განვითარების პროგრამის მიერ;
 კონცეფცია, მაკეტი და ლიტოგრაფია: ეკუთვნის IPC-ს, დაფინანსებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და EFSE-ს განვითარების პროგრამის მიერ
 © EFSE-ს განვითარების პროგრამა 2015

ტომელ ვატიანცს აიტჩვდით?

დავუშვათ, რომ გადაწყვეტით თქვენი ბიზნესისთვის ახალი სასაქონლო მარაგების შექმნა და, თქვენი გათვლებით, ამისთვის დაგჭირდებათ 100,000 ლარის სესხება. ბანკი გთავაზობთ არჩევანს ორ სესხს შორის: სესხი ლარში, რომელზეც საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 13%-ია, ან სესხი აშშ დოლარში წელიწადში 10%-იანი საპროცენტო განაკვეთით. ორივე სესხი უნდა გადაიხადოთ 6 თანაბარი შენატანის სახით ექვსი თვის განმავლობაში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. **გაითვალისწინეთ, რომ უნდა შეადაროთ არამხოლოდ საპროცენტო განაკვეთები, არამედ სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი და პირობაც.**


სესხი ლარში თუ სესხი დოლარში? მენარმის ინსტიქტი, სავარაუდოდ, გიბიძგებთ აირჩიოთ სესხი დოლარში. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა გადაიხადოთ უფრო მაღალი პროცენტი ლარის სესხისთვის? მეორე მხრივ, ისიც

უნდა გაითვალისწინოთ, რომ სესხი დოლარში უნდა დაფაროთ, ხოლო ლარი შესაძლოა დოლართან მიმართებაში გაუფასურდეს. ჩნდება შემდეგი შეკითხვა: რეალურად, შესაძლებელია თუ არა, რომ გაუფასურებამ მოგაყენოთ მნიშვნელოვანი ზიანი ასეთ მოკლე ვადაში? სავსებით შესაძლებელია!

არასწორი გადაწყვეტილება შესაძლოა ძვირი დაგიჯდეთ და რისკის ქვეშაც კი დააყენოს თქვენი ბიზნესი! მოდი, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: თუკი სესხს 2010 წლის იანვრის დასაწყისში აიღებდით და მის ვალუტად აირჩევდით აშშ დოლარს (წლიური საპროცენტო განაკვეთი: 11%) და არა ლარს (წლიური საპროცენტო განაკვეთი: 15%), მაშინ თქვენი გადაწყვეტილება აშშ დოლარის სესხის სასარგებლოდ დაახლოებით 1,800 ლარით მეტი დაგიჯდებოდათ, ვიდრე სესხის ეროვნულ ვალუტაში აღება.

გამოდის, რომ ყოველთვის უნდა ავარიდოთ თავი უცხოურ ვალუტაში სესხებას? თუკი ზემოთ განხილულ სესხს აიღებდით აშშ დოლარში უფრო გვიან, მაგალითად, 2013 წლის იანვრის დასაწყისში, მაშინ დაზოგავდით დაახლოებით 1,500 ლარს იმავე მოცულობის სესხის ლარში აღებასთან შედარებით. ამრიგად, უცხოურ ვალუტაში სესხება შეიცავს არამხოლოდ რისკებს, არამედ გარკვეულ შესაძლებლობებსაც. ეს მაგალითი კარგად წარმოაჩენს დილემას, რომლის წინაშეც თქვენ, როგორც ქართველი მენარმე, დგებით. რეალურ ცხოვრებაში კი შესაძლებელია, ეს დილემა კიდევ უფრო გართულდეს: ხშირად შეიძლება მარტო უცხოურ ვალუტაში სესხება იყოს შესაძლებელი, ან მოგიწიოთ საერთოდ უარი თქვათ ინვესტიციაზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გსურთ მიიღოთ გრძელვადიანი დაფინანსება ძირითადი საშუალებების შესაძენად. ასეთ დროს, არასწორი გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა კიდევ უფრო ძვირიც დაგიჯდეთ.

სესხის ყოველთვიური შენატანები (სესხი დოლარში ან სესხი ლარში, სესხების იდენტური სიდიდე გაცემის თარიღისთვის)



ძირითადი პირობები

თუ გსურთ გააუმჯობესოთ თქვენი ფინანსური გადაწყვეტილებები, უნდა იცოდეთ ძირითადი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს რა პრინციპით და როდის უნდა აიღოთ სესხი უცხოურ ვალუტაში. მოდი, განვიხილოთ უცხოურ ვალუტაში სესხებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებები.

გაცვლითი კურსი, გაუფასურება, გამყარება

გაცვლითი კურსი წარმოადგენს ფასს, რომელსაც იხდით უცხოური ვალუტის შესაძენად - მაგ., 1 დოლარის ღირებულება ლარში. დაიმასხოვრეთ, გაცვლითი კურსის პროგნოზირება მეტად რთულია! გაცვლითი კურსზე გავლენას მრავალი ისეთი ფაქტორი ახდენს, რომლებსაც ვერ აკონტროლებთ, მაგ., მოკლევადიან პერსპექტივაში - მოლოდინები და სპეკულაციები, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - ეკონომიკური ზრდა და ინფლაცია. ლარის გაუფასურება გულისხმობს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ქართულმა ვალუტამ დაკარგა ღირებულება დოლართან მიმართებაში. ეს, მიუთითებს, რომ 1 დოლარის შესაძენად უნდა გადაიხადოთ მეტი ლარი დღეს, ვიდრე, მაგ., რამდენიმე თვის წინ.

სესხი უცხოურ ვალუტაში

თუ სესხს აიღებთ უცხოურ ვალუტაში, მაგ., დოლარში, ეს სესხი უნდა დაფაროთ ამავე ვალუტაში, ან უცხოური ვალუტის ექვივალენტით ლარში. თუ არ გაქვთ შემოსავალი დოლარში (თქვენი ბიზნესიდან ან სხვა წყაროდან), გადახდის დღისთვის ლარის დოლარში

კონვერტაცია ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით მოგიწევთ

სავალუტო (FX) რისკი

სავალუტო რისკი გულისხმობს დამატებით ხარჯს, რომლის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს თქვენი ბიზნესი თუ მასზე დიდ გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევები ლართან მიმართებაში. ზოგადად, თქვენი ბიზნესი შეიძლება სავალუტო რისკის ორი მნიშვნელოვანი სახეობის წინაშე დადგეს: 1—ელ შემთხვევაში, შესაძლოა, დადებული გქონდეთ კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც საქონლის/მომსახურების საფასური უცხოურ ვალუტაში უნდა გადაიხადოთ; ეს პროდუქტი გაქვირდება, თუ თანხის გადასახდელად ლარის კონვერტაცია უცხოურ ვალუტაში მოგიწევთ და ლარი ამ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურდება. მე—2 შემთხვევაში, თქვენი ბიზნესის აქტივების საბაზრო ღირებულებაზე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს გაცვლითი კურსის რყევებს

უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული ხარჯები

ტერმინი „უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული ხარჯები“ გულისხმობს დამატებით ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში სესხის აღებასთან, იმავე თანხის ლარში სესხების ნაცვლად. თუ, მაგ., დოლარში აღებული (ან ინდექსირებული) სესხის შენატანების ლარში გამოსახული ღირებულება დამოკიდებულია გაცვლითი კურსის რყევებზე, ლარში აღებული სესხის შენატანების ღირებულება, ცხადია,

უცვლელი რჩება. ლარის გაუფასურება გაზრდის უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებულ ხარჯებს.

საპროცენტო განაკვეთის გარდა სესხის სხვა გასათვალისწინებელი პირობები

საპროცენტო განაკვეთების გარდა, მსესხებელმა ყოველთვის უნდა შეადაროს სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნები, დამატებითი საკომისიო, და ყველა სხვა პირობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიზნესის ფუნქციონირებაზე და გამოიწვიოს ხარჯი. ასეთია, მაგ., ლიკვიდობის კონკრეტული დონის შენარჩუნების მოთხოვნა. ძირითადად, თუმცა არა ყოველთვის, სესხის გაცემისა და სესხის განაღდების საკომისიოები და უზრუნველყოფის მოთხოვნები მსგავსია ლარის და უცხოური ვალუტის სესხებისთვის.

კონვერტაციის ხარჯი

თუ სესხის დაფარვის მიზნით თქვენს გამომუშავებულ ლარს გადაცვლით დოლარში, მოგიწევთ გარკვეული ხარჯის გაღება, რადგან დოლარის შექმნა მოგიწევთ ბანკის მიერ დადგენილი გაყიდვის კურსით, რომელიც განსხვავდება იმ კურსისაგან, რომლითაც თქვენ გაყიდეთ სესხის სახით აღებული დოლარი ლარის მისაღებად. ნებისმიერ დღეს, გაყიდვის კურსი ნაკლებ სარგებლიანია, ვიდრე ყიდვის კურსი, რადგან ბანკი მომსახურებისათვის იღებს სხვაობას (სპრედს). ერთადერთი გზა კონვერტაციის ხარჯის თავიდან ასაცილებლად დოლარში სათანადო შემოსავლის ქონაა.

ბისკები და შესაძლებლობები

სურათზე გამოსახული სასწორი ნათლად გვიჩვენებს თქვენი ბიზნესისთვის იმ შესაძლებლობებსა და მნიშვნელოვან რისკებს, რომლებიც სესხის უცხოურ ვალუტაში აღებასთანაა დაკავშირებული. არ ინერვიულოთ, თუკი ყველა დეტალს მაშინვე ვერ გაიგებთ - პასუხებს თქვენს შეკითხვებზე ბროშურის მომდევნო ნაწილებში იპოვით.

ბისკები

კაპიტალის შემცირება

თუ უცხოურ ვალუტაში სესხი ისეთი აქტივების შესაძენად აიღეთ, რომელთა ღირებულებაც ლარში არაა დამოკიდებული გაცვლითი კურსის რყევაზე (მაგალითად, ადგილობრივად წარმოებული და გაყიდული ავეჯი), ლარის გაუფასურების შემთხვევაში თქვენი ვალი გადააჭარბებს თქვენი აქტივების მიმდინარე ღირებულებას. ამან შესაძლოა შეამციროს თქვენი კაპიტალი!

ბიზნესის გაკოტრება

ლარის გაუფასურება, სავარაუდოდ, ეკონომიკის ზრდის საერთო შენელებასთან ერთად მოხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ბიზნესის შემოსავალი შემცირდება სწორედ მაშინ, როცა თქვენი ფინანსური ხარჯები გაიზრდება.

ნაკლები ფინანსური ხარჯი

შედარებით დაბალმა საპროცენტო განაკვეთებმა, შესაძლოა გამოიწვიოს მთლიანობაში ნაკლები ფინანსური ხარჯი თქვენი ბიზნესისათვის.

შეზღუდული ლიკვიდობა

თქვენს მიერ უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის შენატანების ღირებულება ლარში დამოკიდებულია გაცვლითი კურსის რყევებზე, რომელიც არაპროგნოზირებადია. შედეგად, უცხოურ ვალუტაში სესხის შენატანები ლარში, შესაძლოა, გაცილებით აღემატებოდეს მოსალოდნელს, და სესხის დასაფარად დაგჭირდეთ მეტი ფულადი შემოსავლები ლარში.

ვადების თანხედრად

უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები თქვენი აქტივებისა და ვალდებულებების უკეთ დაბალანსების საშუალებას გაძლევთ ვადების კუთხით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფრო მარტივად მოახერხებთ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხის ვადის დამთხვევას იმ პერიოდთან, რომელიც საჭიროა თქვენი ინვესტიციიდან მოგების მისაღებად, რადგანაც ჩვეულებრივ, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები უფრო გრძელვადიანია, ვიდრე ლარში გაცემული სესხები.

შესაძლებლობები

სავალუტო მოგება

თუ ლარის ღირებულება გაიზრდება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში (ლარი გამყარდება), თქვენი ფინანსური ხარჯი (გაანგარიშებული ლარში) კიდევ უფრო მეტად შემცირდება.

რისკის შესაძლო შემცირება

თუ თქვენი ფულადი შემოდინების უდიდესი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია, მაშინ სესხის უცხოურ ვალუტაში აღებით შეგიძლიათ შეამციროთ სავალუტო რისკი.


დამახსოვრეთ:

სავალუტო კურსი არ ხასიათდება პროგნოზირებადობით. თუ თქვენ მომხმარებლებთან და მიმწოდებლებთან ეროვნულ ვალუტაში (ლარში) აწარმოებთ საქმიანობას, მაშინ სესხის აღება ლარში ყოველთვის უფრო უსაფრთხო არჩევანია. ამ გზით შეგიძლიათ გამორიცხოთ უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან ასოცირებული ხარჯები.

დაუშვებელია:



არასდროს აიღოთ სესხი იმ ვალუტაში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს თქვენს ბიზნეს-ოპერაციებთან. ეს ძალიან სარისკოა!



რა ტისკის აღება შეგიძლიათ?

როგორ შეიძლება იმის განსაზღვრა, აღმატება თუ არა რისკი შესაძლებლობებს? – ისარგებლეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მიდგომითა და სამი მარტივი მოდელით!

არსებობს მარტივი პრაქტიკული მიდგომა, რომელიც გაჩვენებთ, თუ რომელი სესხი დაგიჯდებათ უფრო ძვირი - სესხი აშშ დოლარში (ან ინდექსირებული აშშ დოლარში) თუ სესხი ლარში. ამასთან, არსებობს სამი მარტივი მოდელი, რომლებიც დაგეხმარებათ სწრაფად გააანალიზოთ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს სავალუტო რისკმა თქვენს ბიზნესზე ლარის გაუფასურების შემთხვევაში. ეს მეთოდები შეგიძლიათ გამოიყენოთ იმ პირობების/შედეგების ინდივიდუალურად შესაფასებლად, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი ბიზნესისთვის უცხოურ ვალუტაში სესხის აღებისასთან. ზოგადად კი, უცხოურ ვალუტაში სესხის აღებისას გირჩევთ: თქვენი ბიზნესის შესახებ გათვლები ყოველთვის გააკეთეთ კონსერვატიული გაცვლითი კურსის სცენარით და

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამი მოდელის გამოყენებით, გამოითვალეთ ლარის გაუფასურების შესაძლო გავლენა:

- თქვენი ბიზნესის ფულად ნაკადებზე
- თქვენი კომპანიის მოგება-ზარალის უწყისზე
- თქვენი კომპანიის საბალანსო უწყისზე

გადახედეთ წინა წლების გაცვლით კურსს და ჰკითხეთ თქვენს თავს: რა იყო ლარის გაუფასურების ყველაზე მაღალი

წლიური მაჩვენებელი ბოლო 5-10 წლის განმავლობაში? უნდა დაუშვათ, რომ თქვენი სესხის ვადის განმავლობაში ლარი ისევე (სულ მცირე) იმავე მაჩვენებლით გაუფასურდება. გაცვლითი კურსის

წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, მაგრამ შეგიძლიათ გათვალთ, თუ რა გავლენა ექნება თქვენი ბიზნესის მდგომარეობაზე ლარის გაუფასურებას თუ სესხი უცხოურ ვალუტაში გაქვთ აღებული.

არ არსებობს მეთოდი, რომელიც ზუსტად პროგნოზირებს გაცვლით კურსს, თუმცა ყოველთვის მზად უნდა იყოთ სიტუაციის გაუარესებისთვის!

პრაქტიკული მიდგომა

დაიწყეთ მარტივად: ჩვენს მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მიდგომა გაჩვენებთ, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი უფრო იაფი დაგიჯდებათ, თუ ლარში აღებული სესხი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ დოლარში აღებული სესხები შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდება; თუმცაღა, ლარის გაუფასურებამ, შესაძლოა, გააბათილოს ეს უპირატესობა. გამოთვლების სხვადასხვა მოდელის გამოყენებამდე, შესაფასებლად ჩვენს მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მიდგომა გამოიყენეთ. ის გიჩვენებთ, თუ ლარის გაუფასურების დაახლოებით რა დონე გააძვირებს დოლარში აღებულ სესხს ლარში აღებულ სესხთან შედარებით - მიუხედავად იმისა, რომ აშშ დოლარის სესხებს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთები აქვთ:

გამოაკელით აშშ დოლარის სესხის საპროცენტო განაკვეთი ლარის სესხის საპროცენტო განაკვეთს,

და შეადარეთ სხვაობა გაუფასურების მოსალოდნელ მაჩვენებელს.

პრაქტიკული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია მოკლევადიანი სესხების შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის (ძირის) დაფარვა ხდება ერთიანად სესხის ვადის ბოლოს. ამ შემთხვევაში ლარის გაუფასურება ერთბაშად განსაკუთრებულად დიდ დარტყმას მოგაყენებთ. პრაქტიკული მიდგომა ასევე საშუალებას გაძლევთ განსაზღვროთ გაუფასურების გავლენა უცხოური ვალუტის სესხზე მაშინ, როდესაც ვალდებულების დაფარვა შენატანების სახით ხდება.



მაგალითი:

13% (საპროცენტო განაკვეთი სესხზე ლარში)

- 10% (საპროცენტო განაკვეთი სესხზე აშშ დოლარში)

= 3%

თუ მისწლიდნელია, რომ ლარის სამწიფო გაუფასურება აღებული სესხის ვადის განმავლობაში გადააქარბებს 3%-ს, სესხი აშშ დოლარში უფრო ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე სესხი ლარის ექვივალენტში.



ნუ განიხილავთ აშშ დოლარში აღებულ სესხს, როგორც აშშ დოლარში არსებულ შემოსავალს, თუკი სესხის ამ თანხას მყისიერად აქცევთ ლარის აქტივებად. ამ შემთხვევაში განიხილეთ სესხი, როგორც ლარის შემოინება.

გაგაღონა თქვენს ფულად ნაკადებზე

ფულადი ნაკადების მოდელი

ეს მოდელი დაგეხმარებათ დაადგინოთ: რამდენად მაღალი სავალუტო რისკის წინაშე ვდგებით, თუკი სესხის დასაფარად ლარის აშშ დოლარში კონვერტაცია მიწევს?

თუ უფრო მეტ შემოსავალს იღებთ აშშ დოლარში (ან ინდექსირებულს აშშ დოლარში), ვიდრე ხარჯავთ, მაშინ დაგრჩებათ საკმარისი მოცულობის დოლარი აშშ დოლარის სესხის შენატანების გასაკეთებლად. ცხადია, თქვენს ხელთ არსებული დოლარი არ დაკარგავს ღირებულებას ბანკისათვის გადასახდელ აშშ დოლართან მიმართებაში. შესაბამისად, ამ კონკრეტულ თანხასთან მიმართებაში არ გემუქრებათ სავალუტო რისკი. ფულადი ნაკადების მოდელი გაჩვენებთ, გაქვთ თუ არა საკმარისი ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულების (მათ შორის, უცხოური ვალუტის სესხის) დასაფარად. ამისთვის, უბრალოდ საჭიროა, რომ გაანანილოთ თქვენი ბიზნესის მომდევნო 12 თვის მოსალოდნელი შემოსავალი და გასავალი შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ფულადი შემოინება ლარში
- ფულადი გაინება ლარში
- ფულადი შემოინება უცხოურ ვალუტაში
- ფულადი გაინება უცხოურ ვალუტაში
- ფულადი გაინება უცხოურ ვალუტაში ახალი სესხის შენატანებისთვის

ახლა შეაჯამეთ ყველა ფულადი შემოინება და გაინება ლარში. გააკეთეთ იგივე უცხოურ ვალუტაში არსებული (ან უცხოურ ვალუტაში ინდექსირებული) ფულადი ნაკადებისთვის.

თუკი თქვენს მიერ ასაღები აშშ დოლარის სესხის შენატანებს დამატებული თქვენი ბიზნესის ყველა სხვა გაინება აშშ დოლარში ნაკლებია თქვენს შემოინებაზე აშშ დოლარში – სხვა სიტყვებით, თუ სესხის ყოველთვიური შენატანის განხორციელების შემდეგ თქვენი ბალანსი დადებითია, მაშინ თამამად შეგიძლიათ აილოთ აშშ დოლარის სესხი. მაგრამ, თუ თქვენი დაგეგმილი შენატანები აშშ დოლარში და ყველა სხვა ფულადი გაინება აშშ დოლარში მნიშვნელოვნად აღემატება თქვენს შემოსავალს აშშ დოლარში, მაშინ მაღალი სავალუტო რისკის წინაშე დგებით, მით უმეტეს, თუ ფულადი გაინებები აშშ დოლარში შეადგენს ეროვნულ ვალუტაში არსებული წმინდა ფულადი ნაკადების მნიშვნელოვან ნაწილს. რაც უფრო ახლოსაა ერთმანეთთან აშშ დოლარში თქვენი შემოსავლები ამავე ვალუტაში თქვენს ჯამურ ფულად გაინებებებთან, და რაც უფრო მცირეა აშშ დოლარში თქვენი წმინდა ფულადი გაინებების ნილი ეროვნულ ვალუტაში თქვენს წმინდა ფულად ნაკადში, მით უფრო მცირეა სავალუტო რისკი. **თუ გინვთ ლარში ყოველთვიური წმინდა ფულადი ნაკადების 70%-ზე მეტის კონვერტაცია აშშ დოლარში იმისთვის, რომ უცხოურ ვალუტაში ნაკისრი ვალდებულებები დაფაროთ, მაშინ თქვენ მაღალი რისკის წინაშე დგახართ!**



თუ თქვენ საერთოდ არ ფლობთ აშშ დოლარს, მაშინ იმისთვის, რომ შეამციროთ სავალუტო რისკი, აუცილებლად უნდა გქონდეთ საკმარისი ლიკვიდობა ლარში.

მაგალითი:

ყოველთვიური ფულადი ნაკადები	
ფულადი ნაკადები ლარში	
ფულადი შემოინება ლარში	90,000
ფულადი გაინება ლარში	70,000
წმინდა ფულადი ნაკადები ლარში	20,000

ფულადი ნაკადები აშშ დოლარში	
ფულადი შემოინება აშშ დოლარში ან ინდექსირებული აშშ დოლარში	3,000
ფულადი გაინება აშშ დოლარში ან ინდექსირებული აშშ დოლარში	1,000
წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში	2,000
დამატებითი ფულადი გაინება აშშ დოლარში ახალი სესხისათვის აშშ დოლარში	8,792
ახალი წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში	-6,792

აშშ დოლარის ფულადი ნაკადები (აღებული ლარის ექვივალენტში), გამოსახული ლარის წმინდა ფულადი ნაკადების პროცენტის (%) სახით.	68%
---	-----

ლარისაშშ დოლარის გაცვლითი კურსი 2.0

ახალი წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში * გაცვლითი კურსი
წმინდა ფულადი ნაკადები ლარში

გავლენა თქვენს მოგება-ზარალის უწყისზე

ვალის მომსახურების კოეფიციენტის მოდელი

ეს მოდელი დაგეხმარებათ დაადგინოთ: საკმარისი იქნება თუ არა ჩემი მოგება ვალის მომსახურებისათვის ლარის გაუფასურების შემთხვევაში? შეინარჩუნებს თუ არა ჩემი ბიზნესი სიცოცხლისუნარიანობას თუკი ვითარება გაუარესდება?

ლარის გაუფასურების შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვანია უზრუნველყოთ თქვენი ბიზნესის საკმარისი მომგებიანობა თქვენი საბანკო ვალის მომსახურებისათვის. დაეუშვათ, რომ თქვენს მიერ ბანკიდან აღებული აშშ დოლარის სესხის (ან აშშ დოლარში ინდექსირებული სესხის) შენატანები შეადგენს 5000 ლარს. მაშინ, ლარის აშშ დოლართან მიმართებაში 20%-ით გაუფასურების შემთხვევაში, თქვენი შენატანები 6,000 ლარს გაუტოლდება.

ამ ახალ ვითარებაში, თქვენი მოგების რა პროცენტი/ნაწილი იქნება საჭირო სესხების დასაფარად? ამ კითხვაზე საპასუხოდ, შეაგროვეთ მონაცემები თქვენი ბიზნესის მოგება-ზარალის შესახებ და გააკეთეთ გამოთვლები მარჯვნივ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

ჩვენს მაგალითში მოგება შემცირდა 7,500 ლარიდან 4,700 ლარამდე. ეს მიუთითებს, რომ ლარის 20%-იანი გაუფასურების შემთხვევაში მოგების დონე დაინეცს 37%-ით, ხოლო ვალის მომსახურების კოეფიციენტი 67%-დან 105%-მდე მოიმატებს.

თუკი გაუფასურების მოსალოდნელი დონის გათვალისწინების შედეგად აღმოაჩენთ, რომ თქვენი ვალის მომსახურების კოეფიციენტი აღემატება **გაგალითი:**

100%-ს, მაშინ არ უნდა აიღოთ სესხი უცხოურ ვალუტაში, რადგან თქვენი მოგება არ იქნება საკმარისი თქვენი ვალის სრულად დასაფარად. თუკი თქვენი სესხი გრძელვადიანია, ანუ თუ გაქვთ საინვესტიციო სესხი და არა საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხი, მაშინ თქვენ მით უმეტეს გჭირდებათ ვალის მომსახურების დაბალი კოეფიციენტის შენარჩუნება. **უფრო მეტიც, გირჩევთ, რომ ვალის მომსახურების კოეფიციენტი ყოველთვის შეინარჩუნოთ 80%-ზე ქვემოთ.**

	მოგება-ზარალი - საწყისი თვე	მოგება-ზარალი ლარის გაუფასურების შემდეგ
სულ გაყიდვები	50,000	50,000
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	30,000	31,000
იმპორტირებული საქონელი	5,000	6,000
სხვა საქონელი	25,000	25,000
მთლიანი მოგება	20,000	19,000
საოპერაციო ხარჯები	12,500	13,300
საწვავი	1,000	1,200
იჯარა	3,000	3,600
სხვა საოპერაციო ხარჯები	8,500	8,500
უცხოურ ვალუტაში სესხების რისკითან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი	-	1,000
მოგება	7,500	4,700
ვალის მომსახურება (შენატანები)	5,000	6,000
ვალის მომსახურების კოეფიციენტი	67%	105%

აუცილებელია:

როდესაც ახორციელებთ გამოთვლებს თქვენს მოგება-ზარალის უწყისში ლარის გაუფასურების შემდეგ, გაითვალისწინეთ თქვენი მთლიანი გაყიდვებისა და ხარჯების რა პროცენტია დენომინირებული ან ინდექსირებული უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი =
შენატანები აშშ დოლარში * გაცვლითი კურსი გაუფასურების შემდეგ
- შენატანები აშშ დოლარში * მიმდინარე გაცვლითი კურსი

$$\text{ვალის მომსახურების კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალის მომსახურება (შენატანები)}}{\text{მოგება} + \text{უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი}}$$

გაგლეწა საკუთარ კაპიტალზე

საბალანსო უწყისის მოდელი

ამ მოდელის საშუალებით შეგიძლიათ დაადგინოთ: რა მოცულობის კაპიტალს დაკარგავთ ლარის გაუფასურების შემთხვევაში?

თქვენი კაპიტალი წარმოადგენს კომპანიაში თქვენი წილის მიმდინარე ღირებულებას. თუ კომპანია ზარალს განიცდის, ამ ზარალის დაფარვა კაპიტალიდან ხდება. სწორედ ამიტომ, საკმარისი რაოდენობის კაპიტალი მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს რისკების შესარბილებლად („რისკის ბუფერი“). თუ თქვენი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის მოცულობა აღემატება თქვენს აქტივებს უცხოურ ვალუტაში, მაშინ ლარის გაუფასურების შემთხვევაში თქვენი კაპიტალი შემცირდება. რაც უფრო დიდია აღნიშნული სხვაობა, მით უფრო მეტად შემცირდება თქვენი კაპიტალი ლარის გაუფასურების შემთხვევაში. კაპიტალის ამონურვის შემთხვევაში, დაგროვდება ჭარბი ვალი და კომპანია გაკოტრდება ან, სულ მცირე, ვეღარ შეძლებს ახალი სესხის აღებას.

კაპიტალი უნდა შეინარჩუნოთ ისეთ დონეზე, რომ ის მთლიანი აქტივების, სულ მცირე, 30%-ს უდრიდეს.

ასევე, უნდა გამოთვალოთ ლარის გაუფასურების ისეთი დონე/განაკვეთი, რომელიც გამოიწვევს კაპიტალის მითითებულ ზღვარს ქვემოთ ჩამოსვლას. ამისათვის, შეადგინეთ საბალანსო უწყისი და გამოთვალოთ უცხოურ ვალუტაში აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა, და გამოსახეთ ის თქვენი ბიზნესის მთლიანი აქტივების პროცენტის

სახით. ჩანერეთ ეს თანაფარდობა, დანარჩენი აქტივების თანაფარდობა და კაპიტალი სანყის საბალანსო უწყისში, როგორც ეს ნაჩვენებია მარჯვნივ მოყვანილ მაგალითში.

მაგალითი:

სანყის ბალანსი			
აქტივები (მთლიანი აქტივების %)		ვალდებულებები (მთლიანი აქტივების %)	
აქტივები ეროვნულ ვალუტაში	90%	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	5%
აქტივები უცხოურ ვალუტაში	10%	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	55%
		კაპიტალი	40%
სულ	100%	სულ	100%

ახლა უკვე შეგიძლიათ გამოთვალოთ, ჩამოსცდება თუ არა კაპიტალი 30%-იან ზღვარს იმ შემთხვევაში, თუ ლარი 20%-ით გაუფასურდება.

საბალანსო უწყისი ლარის გაუფასურების შემდეგ			
აქტივები (მთლიანი აქტივების %)		ვალდებულებები (მთლიანი აქტივების %)	
აქტივები ეროვნულ ვალუტაში	90%	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	5%
აქტივები უცხოურ ვალუტაში* (1+ ლარის გაუფასურება)=	12%	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში* (1+ ლარის გაუფასურების განაკვეთი)=	66%
		კაპიტალი = 102% - 5% - 66%	31%
სულ	102%	სულ	102%

საბოლოო ბალანსი			
აქტივები (მთლიანი აქტივების %)		ვალდებულებები (მთლიანი აქტივების %)	
აქტივები ეროვნულ ვალუტაში = 90% / 102%	88%	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში = 5% / 102%	5%
აქტივები უცხოურ ვალუტაში = 12% / 102%	12%	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში = 66% / 102%	65%
		კაპიტალი	30%
სულ	100%	სულ	100%

მოცემულ მაგალითში კაპიტალი მცირდება, და მთლიანი აქტივების 40%-ის ნაცვლად ახლა მთლიანი აქტივების 30%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ლარის 20%-იანი გაუფასურების შემთხვევაში, კომპანიის კაპიტალის ღირებულება 25%-ით შემცირდება. თუ საბალანსო უწყისის მეთოდით შესრულებული გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდება, რომ ლარის მოსალოდნელი განაკვეთით გაუფასურების შემთხვევაში თქვენი კაპიტალი 30%-იან ზღვარს ჩამოსცდება, ან 20%-ზე მეტად შემცირდება, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიღოთ სესხი უცხოურ ვალუტაში. ამ შემთხვევაში სავალუტო „რისკის ბუფერი“ – თქვენი კაპიტალი – არ არის საკმარისი.

დამახსოვრეთ

თუკი აქტივის ფასი განისაზღვრება აშშ დოლარის იმ მოცულობით, რომლის გადახდაც მის სანაცვლოდ სურს მყიდველს, მაშინ ამ აქტივის ღირებულება ლარში გაიზრდება ლარის გაუფასურებისას. თუ ეს არ ეხება თქვენს არც ერთ აქტივს, მაშინ „აქტივები უცხოურ ვალუტაში“ 0%–ს ტოლი იქნება გაანგარიშებაში.

პრაქტიკული მაგალითი I

გავლენა თქვენს ფულად ნაკადებზე

როგორ დაგეხმარებათ ფულის ნაკადების მოდელი სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში?

ეს მოდელი პირველია იმ 3 მოდელთაგან, რომლებიც დაგეხმარებათ გადაწყვეტოთ, რომელი ვალუტიითაა უმჯობესი თქვენი ბიზნესის დაფინანსება. მოდი, განვიხილოთ მაგალითი:

ვთქვათ, ფლობთ კომპანიას „ქართული სათადარიგო ნაწილები,“ რომელიც ავტომობილების მეორადი სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობს, და განიხილავთ მარაგების შესაძენად უცხოურ თუ ეროვნულ ვალუტაში ჯობს თანხის სესხება. თქვენი ბიზნესი შემოსავლის უმეტეს ნაწილს ლარში გამოიმუშავებს, თუმცა, რამდენადაც საქონლის გარკვეული ნაწილი გადის ექსპორტზე თურქეთში, ამ საქონლის გაყიდვა ხდება დოლარში. ჯამური გაყიდვების მხოლოდ მცირედი ნაწილი ანაზღაურდება დოლარში და ყოველი თვის ბოლოს, თქვენს კომპანიას საშუალოდ 2,000 დოლარით მეტი თანხის შემოდინება აქვს, ვიდრე გადინება. დავუშვათ, მარაგების შესაძენად გესაჭიროებათ 200,000 ლარიანი სესხი, და ამ მიზნით უკვე გადახედეთ ადგილობრივი ბანკების წინადადებებს. საუკეთესო შემოთავაზებებია:

სესხი ლარში (200,000 ლარი)
 ვადა: 12 თვე
 წლიური საპროცენტო განაკვეთი: 13%
აბ

სესხი აშშ დოლარში (100,000 აშშ დოლარი - დღეის მდგომარებით, 200,000 ლარის ექვივალენტი)

ვადა: 12 თვე
 წლიური საპროცენტო განაკვეთი: 10%

როგორ იმოქმედებს თქვენი არჩევანი „ქართული სათადარიგო ნაწილების“ ფულად ნაკადებზე? აღემატება სავალუტო რისკი და მისი შესაძლო გავლენა ფულად ნაკადებზე საპროცენტო განაკვეთების სხვაობიდან გამომდინარე თანხის დაზოგვის შესაძლებლობას?

გამოიყენეთ ფულადი ნაკადების მოდელი (გვ. 7) აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად!

ფულადი ნაკადების მოდელში შეჯამებულია საშუალო ყოველთვიური ფულადი ნაკადები ლარში (1-3 სტრიქონები), ხოლო საშუალო ფულადი ნაკადები დოლარში სესხის აღებამდე შეჯამებულია 4-6 სტრიქონებში. როცა სესხის ყოველთვიური შენატანი დოლარში ჩაინერება მე-7 სტრიქონში, ამ მეთოდის საშუალებით მე-8 სტრიქონში გამოითვლება ახალი ყოველთვიური წმინდა ფულადი ნაკადები დოლარში.

თუ გადაწყვეტთ აიღოთ სესხი დოლარში, ახალი ყოველთვიური წმინდა გადინება დოლარში 8,792 დოლარი იქნება. საჭიროა შეადაროთ ფულადი გადინება უცხოურ ვალუტაში თქვენს წმინდა ფულად ნაკადებს ლარში (სტრ. 3). სესხი დოლარში რომ აგელოთ, ყოველთვიურად მოგინვედათ ლარის შემოსავლის საშუალოდ 67%-ის კონვერტაცია დოლარში იმ შემთხვევაშიც, თუ გაცვლითი კურსი არ შეიცვლებოდა (სტრ.10).

მაგალითი:

ყოველთვიური ფულადი	
დოლარში ფულადი ნაკადები ლარში	
1	ფულადი შემოდინება ლარში
2	ფულადი გადინება ლარში
3	წმინდა ფულადი ნაკადები ლარში
ფულადი ნაკადები აშშ დოლარში	
4	ფულადი შემოდინება აშშ დოლარში ან ინდექსირ
5	ფულადი გადინება აშშ დოლარში ან ინდექსირებულ
6	წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში
7	დამატებითი ფულადი გადინება აშშ დოლარში ა
8	ახალი წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში
9	საშუალო წლიური გაცვლითი კურსი: ლარი/აშშ
10	აშშ დოლარის ფულადი ნაკადები (აღებული ლარ
11	მიმდინარე კურსით), გამოსახული ლარის წმინდა
	პროცენტის (%) სახით.
11	წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში, გამოს
	ექვივალენტში (მიმდინარე გაცვლითი კურსი)
სტრატეგია: ლარის გაუფასურება 20%-ით	
12	საშუალო წლიური გაცვლითი კურსი: ლარი/დო
13	აშშ დოლარის ფულადი ნაკადები (აღებული ლარ
14	გამოსახული ლარის წმინდა ფულადი ნაკადების
14	ახალი წმინდა ფულადი ნაკადები აშშ დოლარში,
	ექვივალენტში
15	დარჩენილი ფულადი სახსრები ლარში

ნაკადები - ახალი სესხით აშშ	
	90,000
	70,000
	20,000
რეზერვული აშშ დოლარში	3,000
ნი აშშ დოლარში	1,000
	2,000
ახალი სესხისთვის აშშ	8,792
მი	-6,792
დოლარი (მიმდინარე)	2.0
რის ექვივალენტში, და ფულადი ნაკადების	68%
ახალი ლარის	-13,584
ლარი	2.4
რის ექვივალენტში), პროცენტის (%) სახით.	82%
გამოსახული ლარის	-16,301
	3,699

მაგრამ რა მოხდება თუ ლარი 20%-ით გაუფასურდა?

ამ შემთხვევაში, მოგიწევთ ლარში არსებული ყოველთვიური ფულადი ნაკადების 82%-ის კონვერტაცია დოლარში, რათა დაფაროთ თქვენი ვალდებულება დოლარში (სტრ. 13 + 14). ეს კი უკვე მაღალი რისკია! თუკი ნებისმიერ თვეს ვერ დააგროვებთ საკმარის თანხას კომპანიის ანგარიშზე, და ამასთან, გექნებათ საშუალოზე მაღალი გადასახდელები ლარში და საშუალოზე დაბალი შემოდიდება ლარში, ძალიან ადვილად შეიძლება შეგექმნათ ლიკვიდობის პრობლემები.

საშუალო თვეში, თუ იცვლება ლარის გაცვლითი კურსი, მაგრამ არა თქვენს გადასახდელებზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები, თვის ბოლოს ჯამური ბალანსი (დარჩენილი ფულადი სახსრები ლარში) 3,699 ლი იქნება (სტრ. 15). თუმცა, არსებობს რისკი, რომ რომელიმე თვეს შეგექმნებათ პრობლემები ლიკვიდობასთან დაკავშირებით. თუ ლარი მცირედით ისევ გაუფასურდება, ან სხვა ფაქტორები შეამცირებს ლარის ფულად შემოდიდებას, სესხის დროულად დაფარვა ან ბანკიდან დამატებითი დაფინანსების მიღება გართულდება.

მოდით გავარკვიოთ რა მოხდება, თუ სესხს ლარში აიღებთ: სესხის ყოველთვიური შენატანი უცვლელად 17,863 ლი შეადგენს, ხოლო ჯამური ბალანსი ლარის 20%-იანი გაუფასურების შემდეგ საშუალო თვის განმავლობაში დაახლ. 6,937 ლი იქნება, რაც 87%-ით აღემატება თანხას, რაც

დამახსოვრეთ

მაშინაც, თუ ელით ლარის მცირედით გაუფასურებას, უნდა განიხილოთ უფრო არახელსაყრელი გაცვლითი კურსის სცენარი. უნდა იცოდეთ, რა დაემართება თქვენს ფულად ნაკადებს, თუ აიღებთ სესხს დოლარში, ლარი კი 20%-ით გაუფასურდება.

😊 აუცილებელია:

სანამ ჩვენი 3 მოდელის დახმარებით სავალუტო რისკს გამოიანგარიშებდეთ, გაიაზრეთ, იქნება თუ არა ხელსაყრელი სესხის დოლარში გამოტანა სამომავლო გაცვლით კურსთან დაკავშირებული თქვენი პირადი მოლოდინების საფუძველზე.

გექნებოდით სესხის დოლარში აღების შემთხვევაში.

აქ, კომპანიის სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე არ ემუქრება გაუარესებული ლიკვიდობის გამო. საშუალო თვის განმავლობაში ლარის დოლარში კონვერტაცია არ დაგჭირდებათ. წმინდა ყოველთვიური შემოსავალი დოლარშია და ლარის გაუფასურებით მოგებასაც კი ნახავთ. თუ ლარი 20%-ით გაუფასურდება, თქვენს 2,000 დოლარის შემოსავალს 800 ლარით მეტი ღირებულება ექნება ლარში.

➔ დასკვნა

ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდით გვიჩვენებს, რომ უმჯობესია „ქართული სათადარიგო ნაწილები“ დირექტორმა სესხი ლარში აიღოს. დოლარის სესხთან დაკავშირებული რისკები გადანონის მასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს.

პრაქტიკული მაგალითი II

გავლენა თქვენს მოგება-ზარალის უწყისზე

ვალის მომსახურების კოეფიციენტი სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფლობთ „ქართულ სანარმოო კომპანიას“ და ანარმოებთ ხის ავეჯს. ბევრ დაკვეთას იღებთ, მაგრამ ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებთ. ბიზნეს-შესაძლებლობების ასათვისებლად გასურთ ახალი დანადგარი იყიდოთ, და წყვეტთ, სესხი აიღოთ ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში. კომპანია გაყიდვებს მხოლოდ ადგილობრივად ანარმოებს და შემოსავალიც ლარშია (თვეში 50,000 ლ). თუმცა, სანარმოს და მესაკუთრისთვის გასადახდელი იჯარა დოლარშია ინდექსირებული და ზოგი ნედლეულის ფასიც დოლარშია გადასახდელი. დანადგარი 150,000 ლ ღირს, მისი საექსპლუატაციო ხარჯი კი საბრუნავ კაპიტალს 40,000 ლარით გაზრდის. იხ. ადგილობრივი ბანკების ორი შემოთავაზება:

საინვესტიციო სესხი აშშ დოლარში (დღეის მდგომარეობით, 150,000 ლარის ექვივალენტი)

ვადა: 60 თვე
წლიური საპროცენტო განაკვეთი: 11%

და

დამახსოვრეთ

საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხის დაფარვა, ჩვეულებრივ, არა კომპანიის მოგებიდან, არამედ იმ შემოსავლებიდან უნდა მოხდეს, რომლებიც კომპანიამ მიიღო გადასახდელის დაფარვიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხი აშშ დოლარში (დღეის მდგომარეობით, 40,000 ლარის ექვივალენტი)

ვადა: 12 თვე
წლიური საპროცენტო განაკვეთი: 10% ან

საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხი ლარში (40,000 ლარი)

ვადა: 12 თვე
წლიური საპროცენტო განაკვეთი: 13%

დაშვებები ყველა სცენარისათვის: აშშ დოლარში საინვესტიციო სესხის შენატანი 3,188 ლარი / გაუფასურების შემდეგ 3,826 ლარი

სცენარი 1: ტოვლტრე საინვესტიციო, ისე საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხი აშშ დოლარშია

1-ლი სვეტიდან ჩანს, რომ კომპანია მომგებიანია და ვალის მომსახურებას მოგებიდან დაფარავს, რადგან ვალის მომსახ. კოეფიციენტი ჯანსაღი 69%-ია.

2-ე სვეტი გვიჩვენებს ლარის 20%-იანი გაუფასურების გავლენას კომპანიის მომგებიანობაზე. მოგებას შეამცირებს

გაქვთ მოლოდინი: მომავალ წელს ლარი დოლართან მიმართებაში 6%-ით გაუფასურდება. რა დამართება მოგებას და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობას თუ ლარი 20%-ით გაუფასურდება? გამოიყენეთ ვალის მომსახ. კოეფიციენტის ანალიზის მეთოდი (გვ. 8)!

უცხოურ ვალუტაში სესხებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, და იმპორტირებული საქონლის, სანავიგის, იჯარის გაზრდილი ღირებულებაც. საგანგაშოა, რომ კომპანია ვეღარ შეძლებს საბანკო ვალდებულების მოგებიდან დაფარვას: ვალის მომსახ. კოეფიციენტი 106% გახდება!

დაშვებები: აშშ დოლარში საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხის შენატანი 3,516 ლარი / გაუფასურების შემდეგ 4,219 ლარი

	მოგება-ზარალი - საწყისი თვე	მოგება-ზარალი ლარის გაუფასურების შემდეგ
სულ გაყიდვები	50,000	50,000
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	30,000	31,000
იმპორტირებული საქონელი	5,000	6,000
სხვა საქონელი	25,000	25,000
საერთო მოგება	20,000	19,000
საოპერაციო ხარჯები	10,500	11,500
სანავიგო	1,000	1,200
იჯარა	4,000	4,800
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,500	5,500
უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი	-	1,341
მოგება	9,500	6,159
ვალის მომსახურება (შენატანები)	6,704	8,045
ვალის მომსახურების კოეფიციენტი	71%	107%

სცენარი 2: საინფრასტრუქტურული სესხის აშშ დოლარშია, ხელთ საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხის ღირებულება

თქვენ რომ გადაგენციტით თქვენი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება ღირს, ამ შემთხვევაში სესხის შენატანები უფრო მეტი იქნებოდა, სამაგიეროდ ღირსის გაუფასურება ნაკლებ გავლენას

მოახდენდა თქვენს მომგებიანობაზე. ამ შემთხვევაში მოგება ნაკლებად შემცირდებოდა და თქვენი კომპანია შეძლებდა ყველა ვალის მომსახურებას მიღებული მოგების ხარჯზე.

დაშვებები: ღირსი საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხის შენატანი 3,573 ლარი / გაუფასურების შემდეგ 3,573 ლარი

	მოგება-ზარალი - საწყისი თვე	მოგება-ზარალი ღირსის გაუფასურების შემდეგ
საერთო მოგება	20,000	19,000
საოპერაციო ხარჯები	10,500	11,500
უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი	-	638
მოგება	9,500	6,862
ვალის მომსახურება (შენატანები)	6,761	7,399
ვალის მომსახურების კოეფიციენტი	71%	99%

სცენარი 3: მთლიან სესხის აშშ დოლარშია; ჯამური გაყიდვების 25% აშშ დოლარშია

ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენი კომპანია ყიდის საქონლის 25% თურქეთში და იღებს ანაზღაურებას აშშ დოლარში. ამ შემთხვევაში, ღირსის გაუფასურების დროს, გაყიდვების დონე აინეგს, ხოლო მოგების მარჟა მნიშვნელოვნად აღარ

დაიკლებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ საბრუნავი კაპიტალისთვის აღებულ სესხს და საინვესტიციო სესხს აშშ დოლარში აიღებთ, თქვენი მოგება და ვალის მომსახურების კოეფიციენტი დასაშვებ დონეზე დარჩება.

დაშვებები: აშშ დოლარში საბრუნავი კაპიტალისთვის აღებული სესხის შენატანი 3,516 ლარი / გაუფასურების შემდეგ 4,219 ლარი

	მოგება-ზარალი - საწყისი თვე	მოგება-ზარალი ღირსის გაუფასურების შემდეგ
სულ გაყიდვები	50,000	52,500
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	30,000	31,000
საერთო მოგება	20,000	21,500
საოპერაციო ხარჯები	10,500	11,500
უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი	-	1,341
მოგება	9,500	8,659
ვალის მომსახურება (შენატანები)	6,704	8,045
ვალის მომსახურების კოეფიციენტი	71%	80%

დამახსოვრეო

შემოსავალი უცხოურ ვალუტაში მნიშვნელოვანი სავალუტო „რისკის ბუფერია“, მათ შორის მოგება-ზარალის კუთხითაც.

თუ კომპანია დარწმუნებულია, რომ შეუძლია ფასების სწრაფად აწევა გაზრდილ ხარჯებთან გასამკლავებლად, ესე იგი მას „რისკის ბუფერი“ აქვს. თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მომგებიანობის შემცირება სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, ვალუტის მკვეთრი გაუფასურებისას სრულიად შესაძლებელია გლობალური ეკონომიკის შენელება და გაყიდვების დონის დაცემა.

დასკვნა

ვალის მომსახურების კოეფიციენტის ანალიზის მეთოდი გიჩვენებთ, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს თქვენი ბიზნესის მომგებიანობა. ზომიერი რისკის მოყვარული წინდახედული მენარმე, რომელსაც უცხოურ ვალუტაში შემოსავალი არ გააჩნია, აირჩევს სესხს ღირსში, სულ მცირე, საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად მაინც.

პრაქტიკული მაგალითი III

გავლენა საკუთარ კაპიტალზე

როგორ დაგეხმარებათ საბალანსო უწყისის მოდელი სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში?

თუ გსურთ იცოდეთ, გაძღვეთ თუ არა საშუალებას თქვენი ბალანსის სტრუქტურა ისარგებლოთ აშშ დოლარში სესხზე დაბალი საპროცენტო სარგებლის უპირატესობით, გადახედეთ საბალანსო უწყისის მოდელს.

თქვენი კომპანიის „ქართული საცხობი“ მიმდინარე ბალანსი შეადგენს 325,000 ლარს. კომპანიის მარაგების ღირებულება 65,000 ლარია. აქტივები მოიცავს გარკვეულ თანხას ლარის ანგარიშზე, დებიტორულ დავალიანებას, მარაგებს და ძველ აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებს, რომელთა ღირებულებაც არაა შეფასებული აშშ დოლარში. ამასთან, თქვენი მიმდინარე ვალდებულებები 65,000 ლარს უდრის.

თქვენ გეგმავთ იყიდოთ მეორადი ფურგონი მეზობელ სოფლებში მცხოვრები მომხმარებლისათვის საკონდიტრო ნაწარმის მისაწოდებლად. აღნიშნულის ჯამური ხარჯი 175,000 ლარს შეადგენს. თქვენი ადგილობრივი ბანკი გთავაზობთ შემდეგ სესხებს:

საინვესტიციო სესხი ლარში (175,000 ლარი)

ვადა: 60 თვე

წლიური საპროცენტო განაკვეთი: 13%

ან

საინვესტიციო სესხი აშშ დოლარში (დღეის მდგომარეობით, 175,000 ლარის ექვივალენტი)

ვადა: 60 თვე

წლიური საპროცენტო განაკვეთი: 10%

საწყისი მდგომარეობა

საწყისი ბალანსი			ვალდებულებები ('000 ლარი)		
აქტივები ('000 ლარი)					
აქტივები ეროვნულ ვალუტაში	325	100%	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	65	20%
აქტივები უცხოურ ვალუტაში	-	0%	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	50	15%
			კაპიტალი	210	65%
სულ	325	100%	სულ	325	100%

როგორ შეაფასებთ ორივე ვარიანტის გავლენას თქვენს კაპიტალზე, თუ დავუშვებთ, რომ ლარი 20%-ით გაუფასურდება თქვენ მიერ სესხის აღების შემდეგ? **გამოიყენეთ მე-9 გვერდზე მოცემული საბალანსო უწყისის მოდელი!**

სცენარი 1: სესხი აშშ დოლარში

თუ აიღებთ სესხს აშშ დოლარში, აქტივები ეროვნულ ვალუტაში გაიზრდება 175,000 ლარით 500,000 ლარამდე, და თქვენი ვალდებულებებიც უცხოურ ვალუტაში გაიზრდება 175,000 ლარით 225,000 ლარამდე. ნამგებიანი გაცვლითი კურსის კონსერვატიული სცენარის პირობებში, როდესაც ლარი სწრაფად კარგავს ღირებულების 20%-ს აშშ დოლართან მიმართებაში, თქვენი ბალანსი შემდეგი იქნება:

საბალანსო უწყისი აშშ დოლარში სესხის გაცემის და ლარის გაუფასურების შემდეგ					
აქტივები ('000 ლარი)			ვალდებულებები ('000 ლარი)		
აქტივები ეროვნულ ვალუტაში	325 + 175 = 500	100%	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	65	13%
აქტივები უცხოურ ვალუტაში	-	0%	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში (50 + 175) * 120% =	270	54%
			კაპიტალი	165	33%
სულ	500	100%	სულ	500	100%

თქვენი უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების ღირებულება ლარში გაიზრდება 20%-ით 270,000 ლარამდე, ხოლო კაპიტალი შემცირდება 210,000 ლარიდან 165,000 ლარამდე, რაც გამოიწვევს თქვენი კაპიტალის შემცირებას 20%-ზე მეტით. საბალანსო უწყისში, თქვენი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში გაიზრდება 54%-მდე, ხოლო კაპიტალის დონე შემცირდება 33%-მდე. ეს კი უკვე სახიფათოა, რადგანაც ადგილობრივმა ბანკებმა შესაძლოა უარი თქვან მომავალში თქვენთვის დაფინანსების გამოყოფაზე თუკი თქვენი კაპიტალის დონე 30%-ზე ნაკლებია. ამრიგად, სულ მცირე, გაიზრდება სესხის აღების ხარჯი. საბოლოო ჯამში კი, ასეთი მაღალი რისკის თქვენ თავზე აღებას ვერ შეძლებთ!

თუ გსურთ აიღოთ სესხი უცხოურ ვალუტაში, თქვენ დაგჭირდებათ კაპიტალის „რისკის ბუფერი.“ ზოგადად, თუ ლარის საპროგნოზო გაუფასურება იწვევს თქვენი კაპიტალის შემცირებას 20%-ზე მეტით, ან თქვენი კაპიტალი მაჩვენებლის ჩამოცდენას 30%-იან კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ, ნუ აიღებთ სესხს უცხოურ ვალუტაში.



დასკვნა

დასკვნა: საბალანსო უწყისის მოდელი გიჩვენებთ, რომ თუ თქვენს ვალდებულებებს უცხოურ ვალუტაში არასაკმარისად ფარავს თქვენი აქტივები უცხოურ ვალუტაში, მაშინ მეტად სარისკოა აწარმოოთ დაფინანსება აშშ დოლარში, ანუ, აიღოთ სესხი აშშ დოლარში. თუმცა, „ქართული საცხოვრის“ დირექტორობის შემთხვევაში, შესაძლოა მინც გქონოდათ რისკის განვივის სურვილი.

სცენარი 2: სესხი ლარში

თუ თქვენს ინვესტიციას დააფინანსებთ ლარში, კაპიტალის შემცირების მწვავე რისკის წინაშე არ დადგებით ლარის სწრაფად გაუფასურების შემთხვევაშიც კი. აქტივები ეროვნულ ვალუტაში გაიზრდება 175,000 ლარით 500,000 ლარამდე, და ვალდებულებებიც ეროვნულ ვალუტაში გაიზრდება 175,000 ლარით 240,000 ლარამდე. ლარის 20%-ით გაუფასურების შემდეგ თქვენი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში გაიზრდება 50,000-დან 60,000 ლარამდე. ეს შეამცირებს თქვენს კაპიტალს 210,000 ლარიდან 200,000 ლარამდე, რაც შეესაბამება კაპიტალის მისაღებ დონეს, 40%-ს.

საბოლოო ბალანსი ლარის გაუფასურების შემდეგ			
აქტივები ('000 ლარი)		ვალდებულებები ('000 ლარი)	
აქტივები ეროვნულ ვალუტაში	325 + 175 = 500	ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	65 + 175 = 240
	100%		48%
აქტივები უცხოურ ვალუტაში	-	ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	50 * 120% = 60
	0%		12%
		კაპიტალი	200
			40%
სულ	500	სულ	500
	100%		100%

გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი პრაქტიკული მაგალითები ეფუძნება დაშვებებს - რეალობა კი შესაძლოა სხვაგვარი იყოს!

გაცვლითი კურსი

ყველა მაგალითისთვის ვაკეთებთ დაშვებას, რომ ლარი/დოლარის გაცვლითი კურსი 2,0-ია. ამ ბროშურის გაცნობისას გაცვლითი კურსი შესაძლოა განსხვავებული იყოს.

სხვა თანაბარ პირობებში

მაგალითები შემუშავებულია ქართულ ბანკებთან კონსულტაციით და ასახავს რეალისტურ ბიზნესებს. სცენარებში უცვლელად დავტოვეთ ერთი ფაქტორი: გაცვლითი კურსი. თუმცა, დამახსოვრეთ: რეალურად, ეს და სხვა ფაქტორებიც შეიძლება შეიცვალოს.

გაუფასურებისა და ეკონომიკური ციკლის კორელაცია

ლარი გაუფასურების ტენდენციით ხასიათდება როცა საქართველოს ეკონომიკური ციკლი შენელებულ ფაზაში შედის. ასეთ დროს, თუ თქვენი ვალდებულებები დოლარშია, მაშინ ორმაგი რისკის წინაშე დგახართ, ეს კი აღარაა ასახული ჩვენს მაგალითებში. ერთის მხრივ, სესხის მომსახურების ხარჯები გეზრდებათ ლარში; მეორე მხრივ, გაყიდვებიც შეიძლება შემცირდეს. გაორმაგებული რისკისგან დაცული ვერ იქნებით, თუ ვერ შეძლებთ გაუზარდოთ მომხმარებლებს მინოდებული პროდუქტის ფასი, ან თუ არ გაიზრდება თქვენი გაყიდვები იმის ხარჯზე, რომ მომხმარებლები ძირითადად უცხო ქვეყნის მაცხოვრებლები არიან და მეტს იყიდიან ლარის გაუფასურების შემთხვევაში.

გადახდის გრაფიკები

მოცემული მაგალითების უმეტესობა ეფუძნება გადახდების გრაფიკებს ყოველთვიური შენატანებით. გადახდების განსხვავებულმა გრაფიკმა შესაძლოა შეამციროს, ან გაზარდოს უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული ხარჯი.

ცვლადი კურსი

სესხი დოლარში უფრო სარისკოა, თუ საპროცენტო განაკვეთი არა ფიქსირებული, არამედ ცვლადია. თუ საპროცენტო განაკვეთის განმსაზღვრელი ინდექსი (მაგ., დოლარისთვის LIBOR) გაიზრდება, ის უპირატესობაც შემცირდება, რომელიც დოლარის სესხს ჰქონდა ლარის სესხთან შედარებით საპროცენტო განაკვეთის კუთხით; შედეგად, თქვენ კვლავ სავალუტო რისკის წინაშე იდგებით.

შეღმენით საკუთარი მოდელი!

როგორც ნახეთ, საკმაოდ მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება სესხის ვალუტასთან დაკავშირებით! თქვენ ასევე ნახეთ, რომ უკეთესი გადაწყვეტილების მიღებაში შეიძლება ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამი მარტივი მოდელი დაგეხმაროთ. ამდენად, აუცილებლად გამოიყენეთ ეს მოდელები თქვენი ბიზნესის დაგეგმვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. აღნიშნული მეთოდების თქვენ ბიზნესზე მორგება კი რთული სულაც არ არის!

ენვით EFSE-ს ვებგვერდს და ჩამოტვირთეთ ნიმუშების ჩამონათვალი: <http://www.efse.lu/studies-publications/publications/>
 მასალა ასევე შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ სებ-ის მომხმარებელთა დაცვის გვერდიდან: <http://www.nbg.gov.ge/cp/>



თუ თქვენს კომპიუტერში დაყენებული გაქვთ ელექტრონული ცხრილების ნამკითხველი პროგრამული უზრუნველყოფა, მაშინ მარტივად შეძლებთ ელექტრონული ცხრილის შაბლონების გახსნას. შეავსეთ ველები თქვენი ბიზნესის მონაცემებისა და საკუთარი დაშვებების შესაბამისად.

აღნიშნული მეთოდები საკუთარ ბიზნესს თქვენი საჭიროებების შესაბამისად შეგიძლიათ მოარგოთ! ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი მითითება, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ელექტრონული ცხრილის ნიმუშები (მოცემული მითითებები ეფუძნება Microsoft Excel 2010-ის მაგალითს, თუმცა, ელექტრონული ცხრილის ძირითადი ფუნქციები მსგავსია ყველაზე ხშირად გამოყენებული ელექტრონული ცხრილებისათვის).

ელექტრონული ცხრილის ინტერფეისის ტიპური აგებულება:

დასახელების ველი
დასახელების ველი გვიჩვენებს აქტიური უჯრის მისამართს ან მის დასახელებას.

სვეტის დასახელება
სვეტები სამუშაო ცხრილში ვერტიკალურია და სვეტის თავზე ასოითი სიმბოლოთი აღინიშნება.

დაშვებები	მოგება-ზარალის უწყისი	საწყისი თ...
ყოველთვიური შენატანები აშშ დოლარში დენომინირებული ყველა სესხისთვის ლარის გაუფასურებამდე	სულ გაყიდვები	
2.500 USD = 5.000 GEL	გაყიდვები ეროვნულ ვალუტაში	
ყოველთვიური შენატანები აშშ დოლარში დენომინირებული ყველა სესხისთვის ლარის გაუფასურების შემდეგ	გაყიდვები უცხოურ ვალუტაში	
6.000 GEL	სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	
ლარში დენომინირებული ყველა სესხის ყოველთვიური შენატ	იმპორტირებული საქონელი	
0 GEL	სხვა საქონელი	
სამუშაო წლიური ლარ/დოლარი გაცვლითი კურსი (მიმდინარე)	საერთო მოგება	
2,0	საიპერაციო ხარჯები	
ლარის საპროცენტო გაუფასურების დონე/განაკვეთი	საწვავი	
20%	ოჯარა	
	უცხოურ ვალუტაში ინდექსირებული სხვა საიპერაციო ხარჯები	
	არაინდექსირებული სხვა საიპერაციო ხარჯები	
	უცხოურ ვალუტაში სესხების რისკთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი	
	მოგება	
	ვალის მომსახურება (შენატანები)	
	ვალის მომსახურების კოეფიციენტი	

სტრიქონის ნომერი
სტრიქონები სამუშაო ცხრილში ჰორიზონტულია და აღინიშნება გარკვეული რიცხვით, ანუ ნომრით, სტრიქონის დასაწყისში.


აქტიური უჯრა
აქტიურ უჯრას მის გარშემო არსებული შავი კონტურით ამოიცნობთ. მონაცემების შეყვანა ყოველთვის ხდება აქტიურ უჯრაში. უჯრები გააქტიურდება მათზე დაწკაპუნებით ან კლავიატურაზე ისრიანი კლავიშების გამოყენებით.



ლარის გაუფასურების შემდეგ	
50.000 GEL	50.000 GEL
50.000 GEL	50.000 GEL
0 GEL	0 GEL
30.000 GEL	31.000 GEL
5.000 GEL	6.000 GEL
25.000 GEL	25.000 GEL
20.000 GEL	19.000 GEL
12.500 GEL	13.300 GEL
1.000 GEL	1.200 GEL
3.000 GEL	3.600 GEL
0 GEL	0 GEL
8.500 GEL	8.500 GEL
0 GEL	1.000 GEL
7.500 GEL	4.700 GEL
5.000 GEL	6.000 GEL
67%	105%

როგორ ჩავამატოთ ახალი სვეტი ან სტრიქონი?


1. დაანკაპუნეთ მაუსის მარჯვენა ლილაკი სვეტის/სტრიქონის დასაწყისში იმ ადგილის ზემოთ, სადაც უნდა ჩავმატოთ ახალი სვეტი/სტრიქონი, რათა გახსნათ კონტექსტური (მარჯვენა დაანკაპუნების) მენიუ.
2. მენიუში ჩამატება ("Insert") აირჩიეთ.
3. ახალი სვეტი/სტრიქონი ჩაჯდება არჩეული სვეტის მარცხნივ/ზემოთ.



როგორ შეგიძლიათ დაბლოკოთ და განბლოკოთ პაროლით დაცული შაბლონური მეთოდები?

მეთოდები, რომლებიც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ, საშუალებას გაძლევთ, შეიყვანოთ მონაცემები ღია ცისფერ უჯრებში. ყველა სხვა უჯრა ბლოკირებულია, რათა მომხმარებელმა შემთხვევით არ გადაანეროს / ნაშალოს მნიშვნელოვანი ფორმულები. თუმცა, კონკრეტული უჯრის დაბლოკვა/განბლოკვა თქვენს სამუშაო ცხრილში მარტივია.

1. დაანკაპუნეთ ჩანართზე "Review" („გადახედვა“) მენიუს ზოლში
2. აირჩიეთ "Unprotect sheet" („გვერდის განბლოკვა“)
3. გამოჩენილ ჩამოსაშლელ მენიუში შეიყვანეთ "FXChange"



თუ ისევ გასურთ ფუნქციის ბლოკირება:



4. აირჩიეთ "Protect sheet" („გვერდის დაბლოკვა“)
5. ჩაწერეთ თქვენ მიერ შერჩეული პაროლი.

ფორმულის ყველა უჯრა საჩვენებელ, შაბლონურ მეთოდებში ბლოკირებული უნდა იყოს მუშაობისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

უჯრის მითითება

სვეტის დასახელება და სტრიქონის აღმნიშვნელი რიცხვი (სტრიქონის დასახელება) ერთად ქმნის უჯრის მისამართს. სამუშაო ცხრილის თითოეული უჯრის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს ასოითი სიმბოლოსა და რიცხვის ისეთი კომბინაციით, როგორცაა A1 ან F4.

მიიღეთ პრაქტიკული ფინანსური გადაწყვეტილებები

განურჩევლად იმისა, თქვენს ბიზნესს მოკლევადიანი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება ესაჭიროება, თუ გრძელვადიანი საინვესტიციო სესხი, მაინც არაერთხელ მოგიხდებათ გადაწყვეტოთ, თუ რომელ ვალუტაში აიღოთ სესხი.

ამ ეტაპზე, უკვე იცით, თუ როგორ შეიძლება დაგეხმაროთ ამ პროშურაში წარმოდგენილი მარტივი მიდგომა და სამი პრაქტიკული მოდელი ისეთი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორცაა სავალუტო რისკის გონივრული მართვა.

ახლა კი მოდით განვიხილოთ ყველა ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგათ სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მისაღებად.

ხუთი ნაბიჯი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად

ნაბიჯი 1:

ზუსტად განსაზღვრეთ თქვენი ფინანსური საჭიროებები

რა თანხა გჭირდებათ ლიკვიდობის მოკლევადიანი დეფიციტის შესავსებად? რა თანხა გჭირდებათ ისეთი ინვესტიციებისთვის, რომლებიც მოგვიანებით სარგებელს მოგიტანთ? ბიზნესის შემოსავლის რა ნაწილი შეგიძლიათ გამოიყენოთ სესხის დასაფარად?

ნაბიჯი 2:

გადახედეთ დაფინანსების სხვადასხვა შეთავაზებას

ფინანსური საჭიროებების განსაზღვრის შემდეგ, მოითხოვეთ შეთავაზებები თქვენი საბანკო პატრნიორისგან (პარტნიორებისგან) როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის სესხებისთვის.

ნაბიჯი 3:

გამოიყენეთ პრაქტიკული მიდგომა

გამოიყენეთ პრაქტიკული მიდგომა, რათა გადაწყვიტოთ, დაგეხმარებათ თუ არა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი თანხის დაზოგვაში იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მოლოდინები ვალუტის კურსთან დაკავშირებით გამართლდება. თუკი პასუხი დადებითია, მაშინ გადადით მეოთხე ნაბიჯზე. თუ პასუხია უარყოფითია, მაშინ აიღეთ სესხი ლარში.

არ დაგაჟიწყდეთ ჰკითხვით თქვენს ბანკს

თქვენი ბანკი ვალდებულია არამხოლოდ სესხი შემოგთავაზოთ, არამედ ასევე მოგაწოდოთ სასარგებლო ინფორმაცია და რჩევები. ქვემოთ იხილავთ იმ მნიშვნელოვანი საკითხების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განიხილოთ თქვენს ბანკთან ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე.

ბანკის ზოგადი მიდგომა უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებასთან:

- რას ფიქრობს ბანკი მცირე ბიზნესისთვის უცხოურ ვალუტაში სესხის გაცემაზე?
- აკმაყოფილებს თუ არა ჩემი კომპანია სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემის მოთხოვნებს?
- რა კრიტერიუმებს იყენებს ბანკი იმის შესაფასებლად, თუ ვის შეუძლია აიღოს სესხი უცხოურ ვალუტაში?

ვადები და პირობები:

- რა განსხვავებაა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სესხების პირობებსა და ვადებს შორის?
- რა საპროცენტო განაკვეთები, დამატებითი ხარჯები და ვადები შემოთავაზებულია?
- დაწესებულია თუ არა რაიმე საკომისიო კონკრეტულად უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე?
- განსხვავდება თუ არა ბანკის მიერ შემოთავაზებული სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში რაიმე სხვა მახასიათებლით, მაგალითად, უზრუნველყოფის პირობებით?

სესხის დატარება უცხოურ ვალუტაში:

- ყოველთვის შევძლებ თუ არა შევიძინო უცხოური ვალუტა იმ მოცულობით, რომელიც მჭირდება სესხის დასაფარად?
- როგორ განსაზღვრავს ბანკი გაყიდვის (ask) კურსს?

დაცვა ერთვალუტო ვალუტის გაუფასურებისაგან:

- თუ მივიღებ გადაწყვეტილებას უცხოურ ვალუტაში სესხების სასარგებლოდ, რა დამატებით რჩევას ან ფინანსურ პროდუქტს შემომთავაზებს ბანკი ჩემი სავალუტო რისკის შესამცირებლად?

სესხის ვალუტის კონვერტაცია:

- შესაძლებელია თუ არა უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში?
- რა ხარჯებია აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული?

ნაბიჯი 4:

გამოიყენეთ დამხმარე მოდელები

გამოიყენეთ ამ ბროშურაში აღწერილი სამი მოდელი იმისთვის, რომ განსაზღვროთ თქვენი რისკის პროფილი და გათვალთ, თუ რამდენად შეიძლება აშშ დოლარში სესხებასთან დაკავშირებულმა სავალუტო რისკმა ზიანი მიაყენოს თქვენს ბიზნესს ვითარების გაუარესების შემთხვევაში. აღნიშნული მეთოდები დაგეხმარებათ შეაფასოთ უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის შესაძლო გავლენა თქვენს ფულად ნაკადებზე, მოგება-ზარალის და საბალანსო უწყისებზე.

ნაბიჯი 5:

განიხილეთ და აირჩიეთ

წარმოდგენილმა მეთოდებმა შეიძლება მიგითითოთ, სესხის რომელი ვალუტა წარმოადგენს ყველაზე გონივრულ არჩევანს თქვენთვის. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც თქვენზე, ანუ, მენარმეზეა. აღნიშნული მეთოდების დახმარებით შესრულებული გაანგარიშებების საფუძველზე შეგიძლიათ აირჩიოთ, თუ რომელი ვალუტა ან ვალუტების კომბინაცია უნდა აირჩიოთ სესხის აღებისას.



გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებები უმნიშვნელოვანესია ბიზნესის წარმატებისთვის და ამ მიზნით, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სავალუტო რისკის სათანადოდ მართვა.

დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ბროშურაში მოცემული ინფორმაცია, თქვენი ბანკის მიერ მონოდებულ ინფორმაციასა და მხარდაჭერასთან ერთად, დაგეხმარებათ გააკეთოთ სწორი არჩევანი.

